ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გ.შ.№37/19

თბილისი **10.04.2019წ.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილის სახით, შემდგომში - შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს ,,ჯი ეს სი" მისი დირექტორის სულიკო სიმაევის სახით, შემდგომში - მიმწოდებელი, მეორე მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებლი შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის პირველი აპრილის № 1724 განკარგულებისა (SMP190001715) და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის - გიორგი გიორგაძის 2019 წლის 08 აპრილის №1503-01 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ერთი კომპლექტი სამუშაო საათების აღრიცხვის სისტემის მიწოდება/მონტაჟი (CPV-35125200) – შემდგომში საქონელი.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების მთლიანი და ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით შეადგენს 6 531.00 (ექვსიათას ხუთასოცდათერთმეტი) ლარს;

2.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

2.3. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს მიწოდებულ საქონელზე ანგარიშსწორება, სასაქონლო ზედნადებისა და ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

მუხლი 3. საქონლის შესაბამისობა

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონლისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიწოდებული საქონელი მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. ამ ხელშეკრულების ძალით მიწოდებული საქონლის შემოწმებას, მიღება-ჩაბარებას და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ან/და საინფორმაციო ტექნოლოგიების კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ან/და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირო გიორგი გიორგაძე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) საქონლის მიწოდების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული პირობით;

გ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 19 აპრილის ჩათვლით;

დ) შემსყიდველს მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი;

ე) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთის მიღება.

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

გ) მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს ინსპექტირება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 (ნული მთელი ერთი) პროცენტის პროცენტის ოდენობით, მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვევის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2. საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 (ნული მთელი ერთი) პროცენტის ოდენობით.

7.3. ინსპექტირებისას აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის გამოსწორებისათვის ან/და შეცვლისათვის მიმწოდებელმა თუ გადააცილა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების საერთო ვადას მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 (ნული მთელი ერთი) პროცენტის ოდენობით.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით.

მუხლი 8. ინსპექტირება

8.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიწოდებული საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

8.2.ინსპექტირებისას ხილვადი დეფექტის, ნაკლის ასევე უხარისხო მიწოდებული საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში ინსპექტირების განმახორციელებელმა უნდა შეადგინოს ინსპექტირების აქტი და წარუდგინოს შემსყიდველს შემდგომი რეაგირებისათვის.

8.3.ვიზუალური დათვალიერების დროს, ხილვადი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და სატელეფონო შეტყობინებით აცნობოს მიმწოდებელს არმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს ნაკლის, დეფექტის გამოსწორება შეცვლა.

8.4.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება,თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3.არც ართ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავის უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.4. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

10.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში.

10.6. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ქართულ ენაზე, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.7. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, საიდენტიფიკაციო კოდი 204 564 845, სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის № GE24NB0330100200165022, კოდი TRESGE22.

ხელმოწერა ---------- Ilia Begiashvili Digitally signed by Ilia Begiashvili Date: 2019.04.10 14:26:45 +04'00' **ილია ბეგიაშვილი**
მ.ა.

მიმწოდებელი:

შპს ,,ჯი ეს სი " მის. ქ. თბილისი მინდელის ქ.№5, სს„თი ბი სი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22, ანგარიშის №GE 35 TB 7462 0360 2010 0003, საიდ.კოდი 211 368 508.

ხელმოწერა ---------- GSC LLC Digitally signed by GSC LLC Date: 2019.04.10 15:20:52 +04'00' **სულიკო სიმაევი**
მ.ა.

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080184785920719

№ 1724 01 / აპრილი / 2019 წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 28 მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ წარმოადგინა SMP190001715 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვების განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს სამუშაო საათების აღრიცხვის სისტემის (ტურნიკეტი) შესყიდვას (35100000 - საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები; 35125200 - დროის საკონტროლო სისტემები ან სამუშაო საათების აღრიცხვის სისტემა).

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შენობაში (მის.: ქალაქი თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12) 2019 წლის 26 მარტს მოულოდნელად მწყობრიდან გამოვიდა შემოსასვლელში არსებული სამუშაო საათების აღრიცხვის სისტემა (ტურნიკეტი), რის გამოც შენობაში როგორც თანამშრომლების, ისე სტუმრების შესვლა გართულებულია. შესაბამისად, არსებული ვითარება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სამინისტროს გამართულ და ეფექტიან ფუნქციონირებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო საქონლის შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შენობაში (მის.: ქალაქი თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12) 2019 წლის 26 მარტს მოულოდნელად მწყობრიდან გამოვიდა შემოსასვლელში არსებული სამუშაო საათების აღრიცხვის სისტემა (ტურნიკეტი), რის გამოც შენობაში როგორც თანამშრომლების, ისე სტუმრების შესვლა გართულებულია. შესაბამისად, არსებული ვითარება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სამინისტროს გამართულ და ეფექტიან ფუნქციონირებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო საქონლის შესყიდვა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შესყიდვა განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს SMP190001715 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე